BATUMI SEA PORT LTD
შპს ბათუმის საზღვაო ნავსადგური
15, Baku St, Batumi 6010, Georgia
საქართველო, ბათუმი 6010, ბაქოს ქ. №15
www.batumiport.com
+995 (422) 27 49 12

№ 0106-08/36
29 ივლისი, 2022 წელი

ს.ს.ი.პ. გარემოს ეროვნული სააგენტო
«01» 08 2022წ.
№ 3728

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტო"-ს უფროსს ქალბატონ თამარ ფიცხელაურს

ქალბატონო თამარ,

გაცნობებთ, რომ ბათუმის საზღვაო ნავსადგურის ტერიტორიაზე არსებული ნაყარი ტვირთების გადასატვირთი ტერმინალის გამოყენებით დაგეგმილი გვაქვს გრანულირებული გოგირდის გადატვირთვის ოპერაციების შესრულება. ტერმინალი აღჭურვილია მაღალეფექტური მტვერდამჭერი ფილტრებით, ხოლო ნაყარი ტვირთების მიღების, დასაწყობების და გადატვირთვის ოპერაციები სრულდება დახურული ციკლით, რაც მინიმუმამდე ამცირებს ატმოსფერულ ჰაერში მტვრის გავრცელების რისკებს.

დღეისათვის ტერმინალის საშუალებით მიმდინარეობს კარბამიდის გადატვირთვის ოპერაციები და გრანულირებული გოგირდის გადატვირთვის ოპერაციების განხორციელება დაკავშირებული იქნება ნავსადგურის ექსპლუატაციის პირობების ცვლილებასთან, რაც საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი"-ს მე-5 მუხლის მე-12 ნაწილის მიხედვით, წარმოადგენს სკრინინგის პროცედურას დაქვემდებარებულ საქმიანობას .

წარმოგიდგენთ ბათუმის საზღვაო ნავსადგურის ექსპლუატაციის პირობების ცვლილების, კერძოდ: ნავსადგურის ნაყარი ტვირთების გადასატვირთი ტერმინალის საშუალებით გრანულირებული გოგირდის გადატვირთვის საქმიანობის სკრინინგის ანგარიშს და გთხოვთ თქვენს გადაწყვეტილებას.

წერილს თან ერთვის:

- ბათუმის საზღვაო ნავსადგურის ექსპლუატაციის პირობების ცვლილების, კერძოდ: ნაყარი ტვირთების გადასატვირთი ტერმინალის საშუალებით გრანულირებული გოგირდის გადატვირთვის საქმიანობის სკრინინგის ანგარიში -1 ეგზემპლიარი ნაბეჭდი ვერსია;
- დოკუმენტაციის ელექტრონული ვერსია და საპროექტო ტერმინალის განთავსების ადგილის გეოგრაფიული კოორდინატები GIS სისტემაში - CD დისკზე.

პატივისცემით,

გენერალური დირექტორის მ.შ. ე. მეირემბეკოვ